ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კოლეგიის წევრი: მარიკა არევაძე

კოლეგიის წევრი: კონსტანტინე გელაშვილი

საჩივრის ავტორი: ლ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 055/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ადვოკატი ე. მ. /სიითი№...../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. მ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2018 წლის 02 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 17 იანვარს საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატ ე. მ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა ადმინისტრაციული დავა 2 საქმესთან დაკავშირებით ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად. საქმე ეხებოდა ახმეტაში მდებარე სახლსა და მიმდებარე მიწის ნაკვეთს, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ე. მ.-ს დაუტოვა საქმის მასალები გაცნობის მიზნით.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, რამოდენიმე დღის შემდეგ მას დაუკავშირდა ადვოკატი ე. მ. და აცნობა, რომ „ყველაფერს მიხედავდა ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად“ და მოითხოვა მისი და ადვოკატ ა. გ.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარის სახით - 1500 (ათას ხუთასი) ლარის გადახდა.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან 2018 წლის 24 იანვარს ადვოკატ ე. მ.-ის სახელზე გააფორმა რწმუნებულება (№X) და პირადად გადასცა მას. ასევე, მის ანგარიშზე გადარიცხა შეთანხმებული ჰონორარი - 1500 (ათას ხუთასი) ლარი. ადვოკატ ე. მ.-ს საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია, რადგან უთხრა, რომ საჭირო არ იყო.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა ადვოკატ ე. მ.-ს და ეკითხებოდა საქმის მიმდინარეობის შესახებ. ადვოკატი ე. მ. თავისი ინიციატივით არ აწვდიდა საჩივრის ავტორს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ე. მ.-მ განუმარტა, რომ მისი საქმის თაობაზე ელოდებოდნენ სასამართლო სხდომის ჩანიშვნას, ხოლო რაც შეეხება, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საკითხს, ადვოკატის პასუხი იყო რომ საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა ადვოკატმა ა. გ.-მ, რომელზეც დადგინდა ხარვეზი. საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც იგი კითხულობდა თუ რა ხარვეზი იყო, ადვოკატი ე. მ. გარკვეულ პასუხს არ აძლევდა მას.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც იგი მიხვდა, რომ ადვოკატმა ე. მ.-მ მის საქმესთან დაკავშირებით არ იცოდა არაფერი, მიმართა ადვოკატ ა. გ.-ს ინფორმაციის მიღების მიზნით.

1.7. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც გადაცემული იყო თელავის რაიონულ სასამართლოში განსახილველად, სხდომა ჩაინიშნა 06 თებერვალს, რის შესახებაც მან თავად აცნობა ადვოკატ ე. მ.-ს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ვინაიდან იგი თავად ვერ ახერხებდა წასვლას, ენდო მისი ადვოკატების სიტყვას იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი თავად დაესწრებოდნენ სასამართლოს სხდომას. საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ ე. მ.-ს, რომელმაც უპასუხა, რომ ისინი ჩავიდნენ თელავში, მაგრამ სასამართლოში უპასუხეს, რომ დაავიწყდათ სხდომის ჩანიშვნის თაობაზე და სხდომა არ გამართულა.

1.8. საჩივრის ავტორს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მისი ადვოკატები თელავში არ ჩასულან და არ დაესწრნენ 2018 წლის 06 თებერვალს გამართულ სასამართლოს სხდომას. ლ. ხ.-მა 2018 წლის 26 აპრილს გაუგზავნა განცხადება თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის სხდომის ოქმისა და აუდიო ჩანაწერების გამოთხოვის მიზნით, თუმცა სასამართლოდან პასუხი საჩივრის ავტორს დღემდე არ მიუღია.

1.9. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 04 აპრილს მიმართა იუსტიციის სახლს და გამოითხოვა ამავე წლის 02 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა ადვოკატ ა. გ.-ს მიერ საჩივრის ავტორის მოთხოვნის საფუძველზე 2018 წლის 27 მარტს იუსტიციის სახლში შეტანილ განცხადებაზე, რის შემდეგაც მიმართა ადვოკატ ე. მ.-ს და ჰკითხა, თუ რატომ არ გამოითხოვა დროულად საჯარო რეესტრიდან ეს გადაწყვეტილება, რაზედაც ადვოკატმა უპასუხა, რომ „მერე რა, რომ ორი დღე დაგიგვიანეთ და არ გვინახავს პასუხი, მერე რა მოხდაო“, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა ადვოკატებისგან მოითხოვა მათთვის ჰონორარის სახით გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება.

1.10. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ე. მ.-ს გადახდილი ჰონორარის ნაწილის 1200 (ათას ორასი) ლარის დაბრუნებაზე უარი არ უთქვამს, თუმცა პირობა არ შეასრულა, რის შემდეგაც 2018

წლის 26 აპრილს საჩივრის ავტორმა გააუქმა ადვოკატ ე. მ.-ის სახელზე გაცემული მინდობილობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, „ადვოკატ ე. მ.-ს მისთვის არანაირი საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ე. მ.-მ 2018 წლის 15 მაისს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 26 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ლ. ხ.-მა, რომელმაც 2018 წლის 24 იანვარს გაუფორმა მინდობილობა/რწმუნებულება მას და ადვოკატ ა. გ.-ს თელავის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის №3/XXX-XX საწარმოებლად და ასევე მიწის ნაკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო წარმოებაში წარმომადგენლობის განსახორციელებლად. ადვოკატის განცხადებით, მათ შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა და ამ შემთხვევაში, სანოტარო მინდობილობა №… წარმოადგენდა მათ შორის ხელშეკრულებასაც.

2.3 ადვოკატ ე. მ.-ის განმარტებით, საჩივრის ავტორმა მის ანგარიშზე ჩარიცხა 1500 (ათას ხუთასი) ლარი, რაც წარმოადგენდა ორივე ადვოკატის მომსახურებისათვის განკუთვნილ ჰონორარს და დანიშნულებაში მიუთითა „საადვოკატო მომსახურების საფასური“.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ის და ადვოკატი ა. გ. საჩივრის ავტორის საქმეში ჩაერთნენ მაშინ, როდესაც პირველი საქმის განხილვა უკვე მიმდინარეობდა თელავის რაიონულ სასამართლოში, ხოლო მეორე საქმეზე, რომელიც ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საკითხს, ჩაერთნენ მაშინ, როდესაც უკვე დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება საჯარო რეესტრში.

2.5 ადვოკატ ე. მ.-ის განცხადებით, საჩივრის ავტორმა საქმესთან დაკავშირებით წარმოუდგინა მას საქმის მასალები არასრული სახით, ხოლო ნაწილი საქმის მასალებისა გამოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს საქმის ელექტრონული წარმოებიდან, ასევე გამოითხოვა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებით საქმის მასალები საჯარო რეესტრიდან, შეისწავლა საქმის მასალები ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად და ჩამოაყალიბეს ერთობლივად პოზიციები.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მოცემულ საქმეებთან დაკავშირებით რეგულარულად მიდიოდა მასთან ოფისში და გარდა სატელეფონო კონსულტაციებისა, ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად პირადად უწევდა კონსულტაციას.

2.7 ადვოკატის განცხადებით, ის ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად 2018 წლის 06 თებერვალს ჩავიდა თელავში, იმ მიზნით, რომ რაიონულ სასამართლოში დასწრებოდა საჩივრის ავტორის საქმეზე №3/XXX-XX ჩანიშნულ სხდომას, მაგრამ მოსამართლის თანაშემწემ განუმარტა რომ სხდომა არ გაიმართებოდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი კატეგორიულად მოითხოვდა მათგან სასამართლო სხდომის ჩანიშვნას, რისი კომპეტენციაც მათ არ ჰქონდათ და სწორედ ეს გახდა მათ შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზი. საჩივრის ავტორი რეგულარულად აკითხავდა ადვოკატს ოფისში.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურება ლ. ხ.-თან შეთანხმებით შეწყვიტა. მოლაპარაკების შესაბამისად, ადვოკატ ე. მ.-სა და ა. გ.-ს საჩივრის ავტორისათვის უნდა დაებრუნებინათ მათ მიერ უკვე განხორციელებული მოქმედებების ხარჯების გამოკლებით 1200 (ათას ორას) ლარი.

2.10 ადვოკატის განცხადებით, ოფისში ბოლო ვიზიტისას, საჩივრის ავტორმა სხვა კლიენტების, თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა მას, ასევე, საჩივრის ავტორმა არ ისურვა ნაღდი ანგარიშსწორების სახით თანხის უკან დაბრუნება, მან მოითხოვა, რომ თანხა ჩარიცხულიყო მის საბანკო ანგარიშზე.

2.11 ადვოკატის განცხადებით, მზად იყო შეთანხმებული თანხა 1200 (ათას ორასი) ლარი დაებრუნებინა უკან საჩივრის ავტორისათვის იმ მომენტამდე, სანამ არ გაიგო, რომ ლ. ხ.-ს საჩივარი ჰქონდა შემოტანილი ეთიკის კომისიაში, სადაც ითხოვდა 1500 (ათას ხუთასი) ლარის დაბრუნებას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ე. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ლ. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 02 მაისს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ე. მ.-მ შეთანხმების შესაბამისად არ გაუწია საადვოკატო მომსახურება, მათ შორის არ აწარმოა მისი საქმე საჯარო რეესტრში და თელავის რაიონულ სასამართლოში, ადვოკატმა არ გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

5.3 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5.4 ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით პერიოდულად მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის უნდა გააცნოს საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტები.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების მიხედვით ირკვევა, რომ ადვოკატებს ე. მ.-სა და ა. გ.-ს უნდა ეწარმოებინათ საჩივრის ავტორის ადმინისტრაციული საქმე. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ე. მ.-მ არ გააფორმა მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატი ე. მ. აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორმა მის სახელზე გასცა მინდობილობა, რაც ხელშეკრულებასაც წარმოადგენდა. მხარეებს გარიგების გაფორმება სსკ-ის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეუძლიათ „ზეპირად ან წერილობითი ფორმით“. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმების ფორმა თავისუფალია. ორივე ფორმით დადებული გარიგების შემთხვევაში, ადვოკატს კლიენტის წინაშე წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“. ურთიერთშეთანხმება შესაძლებელია არსებობდეს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით და ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ეთიკის კომისიამ 2013 წლის 11 მაისის #008/13 რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა

დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი. ხელშეკრულების თავისუფლების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრის უფლება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთნხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე. მათ უფლება აქვთ მათ შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ ისე, როგორც სურთ, თუმცა, აუცილებელია კანონის ფარგლებში მოქმედება". განსახილველ შემთხვევაში ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დაწყებული იყო, თუმცა რეკომენდირებულია სამომავლო ურთიერთობის განმტკიცებისთვის ადვოკატ-კლიენტს შორის გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

5.6 საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ ადვოკატ ე. მ.-ს არანაირი მოქმედება არ განუხორციელებია მის საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა თელავის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის წარმოებას, ასევე საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო წარმოებაში წარმომადგენლობის განხორციელებას. საჩივრის ავტორის პოზიციით, მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ დასწრებია მის საქმესთან დაკავშირებით 2018 წლის 06 თებერვლის სხდომას თელავის რაიონულ სასამართლოში, რადგან ე. მ.-მ მოატყუა და უთხრა, რომ აღნიშნული სხდომა გადაიდო. აღნიშნულ პოზიციას არ ეთანხმება ადვოკატი ე. მ. და აღნიშნავს, რომ იგი ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად ჩავიდა ქალაქ თელავში 2018 წლის 06 თებერვალს რაიონულ სასამართლოში აღნიშნულ სხდომაზე დასწრების მიზნით, მაგრამ როგორც მოსამართლის თანაშემწემ განუმარტა მას, მოცემული სხდომა გადაიდო. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია საქმეში დართული ცნობით, სადაც მითითებულია, რომ -„2018 წლის 06 თებერვალს ადმინისტრაციული სამართლის საქმე №3/XXX-XX არ იქნა განხილული მოსამართლე თ. კ.-ის ბიულეტენზე ყოფნის გამო" (ცნობა,ს.ფ.34). ადვოკატი უარყოფს იმ გარემოებას, რომ მას არ განუხორციელებია არანაირი მოქმედება საჩივრის ავტორის საქმეზე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან გამოითხოვა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია საჯარო რეესტრიდან, შეისწავლა საქმის მასალები ადვოკატ ა. გ.-სთან ერთად და ჩამოაყალიბეს ერთობლივად პოზიციები.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე რაც ეხება, ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობას, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ლ. ხ. არ იყო ინფორმირებული საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის ახერხებდა ადვოკატთან კომუნიკაციას და იღებდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატი უთითებს, რომ იგი რეგულარულად უწევდა კონსულტაციებს საჩივრის ავტორს როგორც პირადად, ასევე სატელეფონო ზარების მეშვეობით, რაც დასტურდება საქმეზე დართული „ცნობებით ზარების შესახებ "რომელიც მოიცავს სატელეფონო ზარების ამონაწერს, განხორციელებულს 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 26 აპრილამდე დროის მონაკვეთში.

5.8 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის მიხედვით, მან ადვოკატ ე. მ.-ს მოსთხოვა მისთვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილის დაბრუნება.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.10 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

5.11 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და

გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

5.12 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მან ორი ადვოკატის - ე. მ.-ისა და ა. გ.-ს იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით ე. მ.-ს გადაურიცხა შეთანხმებული ჰონორარი 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატები მას დაპირდნენ რომ ჰონორარის ნაწილს - 1200 (ათას ორას) ლარს დაუბრუნებდნენ. ადვოკატ ე. მ.-ის პოზიციის თანახმად, იგი საჩივრის ავტორს შეუთანხმდა, რომ გადახდილი ჰონორარიდან გამოუქვითავდა ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს, რაც შეადგენდა -300 (სამას) ლარს და უკან დაუბრუნებდა -1200 (ათას ორას) ლარს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, დგინდება, რომ 2018 წლის 26 ივნისს ადვოკატმა ე. მ.-მ საჩივრის ავტორს გადაურიცხა 1200 (ათას ორასი) ლარი (სალაროს შემოსავლის ორდერი №55/…., ს.ფ. 46).

5.13 საპროცესო კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №055/18 ადვოკატ ე. მ.-ის მიმართ /სიითი№...../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/